

საქართველოს
ვირველი არხი

გეგმა კვარტლის
ანგარიში

▶ 2020 წელი

ახალი და მიმდინარე ახვაბი

საანგარიშო პერიოდში მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების, წინასაარჩევნო პერიოდის და საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გაშუქება.

პირველი სექტემბრიდან საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. ტრადიციულად, პირველმა არხმა უზრუნველყო, როგორც კვალიფიციური, ასევე, არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების გაშუქება და დებატები.

ღაგაჭავი 2020

მაუწყებლობის შესახებ კანონი და საარჩევნო კოდექსი საზოგადოებრივ მაუწყებელს საარჩევნო პერიოდში ვალდებულებებს აკისრებს მხოლოდ კვალიფიციურ სუბიექტებთან დაკავშირებით („მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 55(2), საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 185(2-4)). მიუხედავად ამისა, პირველმა არხმა დებატების ფორმატი არაკვალიფიციურ სუბიექტებსაც შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის არჩევნებზე ეს მიდგომა კიდევ უფრო მიზანშეწონილია, რადგან ერთპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის პირობებში, არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პარლამენტში მოხვედრის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაზრდილია.



28 სექტემბერს პირველმა არხმა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მონაწილეობით, კენჭისყრა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც დებატებში მონაწილე პარტიების რიგითობა განისაზღვრა. წილისყრა საქართველოს პირველი არხის პირდაპირ ეთერში გადაიცა.

წილისყრაში მონაწილეობდა 18 კვალიფიციური და 41 არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი.


კვალიფიციური და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების დებატებს 4-4 გადაცემა დაეთმო. კონკრეტულ გადაცემებში მონაწილე სუბიექტები განისაზღვრა წილისწყრით. რომელიმე საარჩევნო სუბიექტის უარის ან რეგისტრაციიდან მოხსნის შემთხვევაში დებატებში მონაწილეთა რაოდენობა მცირდება.

- საარჩევნო დებატები გადაიცემა პრაიმთაიმში 22.30 საათზე. თითოეული დებატის ქრონომეტრაჟია 90 წუთი.
- დებატებში მონაწილე კანდიდატებს ექნებათ თანაბარი დრო კითხვებზე პასუხის გასაცემად. დებატები შედგება რამდენიმე რაუნდისგან.
- დებატებს გაუძღვებიან: გიორგი გვიმრაძე და მაკა ცინცაძე.
- დებატებში მონაწილე კანდიდატის შერჩევა თავად პარტიის პრეზიდენტივით.
- 28 სექტემბრის კენჭისყრის საფუძველზე ასევე დადგინდა სუბიექტების პრეზენტაციებისთვის გამოყოფილი ტელე და რადიო ეთერის რიგითობა.
- პირველი არხი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ სუბიექტს სთავაზობს ეთერს მიმართვისთვის „მოამბის“ მთავარ, 21.00 საათიან გამოშვებაში. 30 სექტემბრიდან „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში მინიმუმ ორი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელს ეთმობა დრო, ჯამში 10 წუთი. (თითოეულს 5 წუთი).

- საარჩევნო სუბიექტებს, ასევე, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს რადიოს პროექტში „არჩევნები 2020“. გადაცემა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 14:00 საათზე. ყოველ სუბიექტს დაეთმობა 10 წუთი. საარჩევნო სუბიექტების სიმრავლის გამო რადიო ეთერში პროგრამისთვის „არჩევნები 2020“ გამოყოფილი დრო გაიზარდა.

პირველი არხი, როგორც დებატებში, ასევე, „მომბეჭი“ და რადიოს ეთერში საეთერო დროის გამოყოფის თუ საარჩევნო რეპორტაჟების მომზადებისას ხელმძღვანელობს არსებული კანონმდებლობით და ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ თანაბარი მიდგომით.

წინასაარჩევნო მონიტორინგი



საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს წინასაარჩევნო მედიამონიტორინგს პლატფორმებზე:

- საქართველოს პირველი არხი
- საქართველოს რადიო

მონიტორინგი შეეხება საქართველოს პირველი არხისა და საქართველოს რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემას.

მონიტორინგი 1-ლი სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას. მონიტორინგის შედეგები ეტაპობრივად ქვეყნდება ვებ-გვერდზე ITV.GE.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით. როგორც პრაიმთაიმში, ასევე ოფფ პრაიმში გამოქვეყნებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმებისა და გადაცემების სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის შესაბამისად იზომება:

- გამუქებული თემა დათმობილი დროის მიხედვით;
- გამუქებული სუბიექტი (გამომსვლელი) დათმობილი დროის მიხედვით;
- სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გამუქება დათმობილი დროის მიხედვით;
- სუბიექტის გამუქება ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური);

მონიტორინგის სუბიექტები არიან:

- საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ცესკოში;
- რეგისტრირებული პარტიები/ბლოკები;
- პარლამენტის არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი;
- ცესკოში რეგისტრირებული, მაჟორიტარი კანდიდატები;
- საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტები;
- მთავრობა;
- პარლამენტი;
- პრეზიდენტი;
- ადგილობრივი თვითმმართველობები;
- ცესკო;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;

ქურთების განთავსება

საქართველოს პირველმა არხმა წინასაარჩევნოდ ჟურნალისტები გადაამზადა. ტრენინგებს BBC-ის ტრენერი ჯონათან სთოუნმენი დისტანციურ რეჟიმში ორი კვირის განმავლობაში ატარებდა.

ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა - მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, სიზუსტე, სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება.

ჯონათან სთოუნმენი 20 წლის განმავლობაში BBC-ის ახალი და მიმდინარე ამბების სამსახურში ჟურნალისტის, პროდიუსერის, რედაქტორისა და მკვლევრის პოზიციებს იკავებდა, საბოლოოდ კი BBC World Service-ის ტრენინგცენტრის ხელმძღვანელი გახდა. ამჟამად სთოუნმენი საკონსულტაციო კომპანია Stonepeople Media-ს მართავს.



სარედაქციო პრინციპები

პირველი არხის ჟურნალისტებმა, ჯონათან სთოუნმენთან ერთად, იმუშავეს სარედაქციო პრინციპების ერთიან დოკუმენტზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო არჩევნების გაშუქების პროცესში.



მრავალფეროვანი საქართველო



აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, „მოამბის“ 21:00-საათიანი, მთავარი გამოშვება გადაიცემა სომხური და აზერბაიჯანული ენების მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით (ენის რეჟიმის გადართვა შესაძლებელია მიმღების დისტანციური პულტის საშუალებით). წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს „მოამბე“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მუშაობდა განსაკუთრებულ რეჟიმში და აქტიურად აშუქებდა პარტიებთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს. არჩევნების დღეს მომზადდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საინფორმაციოს რამდენიმე სპეციალური გამოშვება. საქართველოს პირველი არხის ონლაინ პლატფორმაზე, შესაბამის ენობრივ განყოფილებაში 24/7 თავსდება ახალი ამბები აზერბაიჯანულ (www.1tv.ge/az) და სომხურ ენებზე (www.1tv.ge/am) ყოველ სამუშაო დღეს, 4-ჯერ გადის საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე - 12:00, 15:00, 18:00 და 20:00 საათზე.

გარდა ამისა, პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება მედია მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის საინტერესო და აქტუალური საკითხები, მათ შესახებ ინფორმაცია ინტეგრირებულია ქართულ გადაცემებში.

თავდასხმა პირველ არხზე

წინასაარჩევნო პერიოდში, პირველი არხი გახდა, როგორც პოლიტიკური, ასევე, ფიზიკური თავდასხმის სამიზნე. მიუხედავად ამისა, პირველი არხი უზრუნველყოფს წინასაარჩევნო პროცესების სრულფასოვან და დაბალანსებულ გაშუქებას ყველა პლატფორმაზე.

29 სექტემბერს ქალაქ მარნეულში განვითარებული მოვლენების შედეგად დაშავდნენ ჟურნალისტები, მათ შორის პირველი არხის გადამღები ჯგუფი. დაზიანებულია მაუწყებლის კუთვნილი ტექნიკა. მარნეულში დაპირისპირება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოკვლევა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე დაიწყო.

ამ ინციდენტის შემდეგ სხვა მედიასაშუალებების ჟურნალისტმა გამოთქვა ბრალდება, თითქოს პირველი არხის გადამღებმა ჯგუფმა მას არ გაუწია შესაბამისი დახმარება. სინამდვილეში საზოგადოებრივი მაუწყებლის გადამღები ჯგუფი ინციდენტის დაწყების მომენტში, მითითებული ტერიტორიიდან დაახლოებით 3-4 კილომეტრში იმყოფებოდა და პირდაპირ ეთერში ერთვებოდა. ამის შემდეგ, პირველი არხის გადამღები ჯგუფი დაპირისპირების ადგილზე მივიდა და თავად გახდა თავდასხმის სამიზნე - ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს ოპერატორს, ზაზა ბარამიძეს და დაამტვრიეს არხის კუთვნილი კამერა.

მსგავსი ცრუ ბრალდება პირველმა არხმა შეაფასა როგორც მიზანმიმართული კამპანია საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ.

ახალი სატელევიზიო საზონი

საქართველოს პირველმა არხმა ახალი სატელევიზიო საზონი საუბამბრიდან დაიწყო.

ეთერში შვიდა რამდენიმე ახალი, მნიშვნელოვანი პროექტი და გაგრძელდა ის გადაცემები, რომლებიც წინა საზონზე იყო განთავსებული.



მამაქალი

პირველი ქართული ანიმაციური საბავშვო სერიალი

თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი, პირველი ქართული საბავშვო ანიმაციური სერიალი „მამაქალი“ საეთერო ბადეში განთავსებულია შაბათ-კვირას, საბავშვო გადაცემების ზოლში, 11:45 საათზე. ანიმაციური ფილმი შედგება სათავგადასავლო ისტორიებისგან, მამაცი და საინტერესო პერსონაჟებისგან. ანიმაცია შეიცავს შემეცნების მნიშვნელოვან ელემენტებს.

დღის კოდი

გადაცემის მიზანია სატელევიზიო სივრცეში სრულიად ახალი სივრცის შექმნა, სადაც უახლესი თუ მიმდინარე მოვლენების პარალელურად, მაყურებელს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, მოისმინოს კვალიფიციური მსჯელობა როგორც კულტურის სხვადასხვა დარგის, ასევე მომიჯნავე სფეროების შესახებ.



მასტარშეფი

სექტემბერში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო კულინარიული მეგა შოუ „მასტერშეფის“ მეოთხე სეზონმა. შოუმ ყველა სეზონზე ონლაინ რეიტინგების აქამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა.

Facebook Page Followers




★ 353 968 Likes
★ 439 091 Followers

**Gained after going on air, without promotion.*


305.3 Million video viewed

Unprecedented amount of engagement and views for TV content this season!

N1 in the category of cooking shows in the history of Georgian TV.




YouTube 45 Million views



YouTube 113K subscribers

რანიანა

„რანიანა“ 11 სექტემბერს პირველი ტურით წარდგა მაყურებლის წინაშე. გადაცემა გრძელდება პირველი არხის ეთერში და 13 ნოემბერს, გრანდიოზული ფინალით დასრულდება, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული, საქართველოს ხმა 2020 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.



ქიმია

ორიგინალური ქართული სერიალი

სერიალი სიმსივნით დაავადებული ქალების ისტორიებს უამბობს მაყურებელს. აქცენტი დასმულია არა მხოლოდ სიმსივნური დაავადებების გახშირებულ მაჩვენებელზე, არამედ მისი დროული დიაგნოსტიკის და სწორი პროფილაქტიკის მნიშვნელობაზე.

ტელედრამა ასევე მიზნად ისახავს სიმსივნით დაავადებული ქალების მიმართ არსებული სტიგმის და საზოგადოებაში სტერეოტიპების რღვევის ხელშეწყობას.


სანსი

პირველი არხი HBO-ს In Treatment-ის ქართულ ანალოგს იღებს. ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რომელსაც მაუწყებელი „NOVA პროდაქშენთან“ ერთად ახორციელებს. ძირითადი სიუჟეტი აგებულია ფსიქოთერაპევტისა და მისი პაციენტების ურთიერთობაზე. სერიალი პირველი არხის ეთერში განთავსდება ნოემბრის თვიდან.



„ვოისი“ საქართველო

წლის ბოლოს, პირველი არხის ეთერში დაგეგმილია ჩაეშვას მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მუსიკალური მეგა შოუ „ვოისი“. მონაწილეთა შესარჩევი ტურები დასრულებულია. პროექტს ახორციელებს „NOVA პროდაქშენი“.



გადაცემა

31 ორიგინალური ქართული პროდუქტი

1	მოგზა	
2	აუტენტური თემა	
3	ახალი კვირა	
4	42-ე პარალელი	
5	თავისუფალი ხედვა	
6	კვირის ინტერვიუ	
7	ბიზნესპარტნიორი	
8	ბიზნესპარტნიორი - ოთხეული	
9	რეალური სივრცე	
10	გამომცემელი რეპორტიორი	
11	ახალი დღე	
12	დღის კოდი	
13	მაშველები	
14	ეიშია	
15	პირადი ეიშია	
16	თინაუთი	
17	ფარეა	
18	აუსონებით მოყვლილი საქართველოს ისტორია	
19	მასტერფაი	
20	წიგნების თარო	
21	წიგნების თარო სტუდენტური	
22	მარტივი ლოგიკა	
23	ხარ თუ არა გეაქვს აკლასიკა ჰყვინი?	
24	კაცები	
25	რანინა	
26	მუსიკის 12 მოცემა	
27	დოსია	
28	ტელეგუზანი	
29	ჰოვლა, მკანე ვსოცხლობთ	
30	აკუსტიკა	
31	აკა მორჩილაძე - „დაკარგული წიგნები“	

პირველი არხი - სპორტი



2020 წლის მესამე კვარტალში, საქართველოს პირველმა არხმა ტრადიციულად, ყველა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება შესთავაზა მაყურებელს.

- რეპორტაჟი 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან, საქართველო-საფრანგეთი (პირდაპირი რეპორტაჟი გორის ცენტრალური სტადიონიდან);
- ფეხბურთში უეფას ერთა ლიგის 2020-2021 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩი, ესტონეთი-საქართველო (პირდაპირი რეპორტაჟი ტალინიდან);
- ფეხბურთში უეფას ერთა ლიგის 2020-2021 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩი, საქართველო-ჩრდილოეთ მაკედონია (პირდაპირი რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო-არენაიდან). მატჩის წინ და დასრულების შემდეგ „ტაიმაუტის“ სპეციალური გადაცემა.



| ცინემატი



საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართული ორიგინალური დოკუმენტური პროდუქტის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია ქვეყანაში, გარდა ამისა, მიზნად ისახავს ამ მიმართულებით ინდუსტრიის მხარდაჭერას და ინვესტიციის ჩადებას.

კონკურსი

გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმების პროექტების მიღება 2020 წლის პირველ ნოემბრამდე.

მიმდინარეობს გეგმიური ფილმების:

- დოკუმენტური სერიალი „საიდუმლო კარტოთეკა“. მე-3 სეზონი;
- დოკუმენტური ფილმი - “ტრადიცია და ინოვაცია”
- დოკუმენტური ფილმი „კორნელი კეკელიძე“, ციკლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებლები;
- პროექტი „მეფე ერეკლე“;

ათარში გავიდა:

- 4 სექტემბრიდან დაიწყო აკა მორჩილაძის საავტორო პროექტი „დაკარგული წიგნები“ -8 სერია

თანადაფინანსება

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანადაფინანსებით მიმდინარეობს 2019 წელს ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღება.

აღნიშნულ ფილმებს მასურებელი პირველი არხის ეთერში იხილავს:

- „პაპანაქება“ - რეჟისორი: თორნიკე გოგრიჭიანი
- „გუშაგები“ - რეჟისორი: სანდრო სულაძე
- „#26“ - რეჟისორი: გვანცა მეფარიშვილი
- „მუშის კუნთი“ - რეჟისორი: ვაჟიკო ჩაჩხიანი
- „აუზი“ - რეჟისორი: სალომე ლაცაბიძე



პირველი არხი
თელესკოლა

პანდემიის შედეგად, სახლში დარჩენილი მოსწავლეებისთვის „თელესკოლა“ ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პლატფორმად იქცა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში.

სასკოლო არდადეგების გამოცხადების შემდეგ, დაიწყო იმ მასწავლებლების შერჩევის პროცესი, რომლებიც ტელეგაკვეთილებს წარუძღვებოდნენ. აგვისტო-სექტემბრის თვე კი სრულად დაეთმო 1000 ტელეგაკვეთილის ჩაწერას.

ამ ეტაპზე, „თელესკოლის“ მთავარ პროგრამულ პრიორიტეტად კვლავ გაკვეთილების მიწოდება რჩება, რადგან ქვეყანაში კვლავ პანდემიური მდგომარეობაა და სკოლებში სწავლა ჰიბრიდულ რეჟიმში გრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ მესამე კვარტალში სტანდარტული გაკვეთილების პარალელურად შეიქმნა პროექტები, რომლებიც მოსწავლეთათვის დამატებით სასწავლო რესურსად შეიძლება განვიხილოთ. ხაზგასმით აღსანიშნავია პროექტი „ინგლისური ყველასთვის“, რომელიც ინგლისური ენით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის შეუცვლელ რესურსად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა ენა უცხოელი მასწავლებლების დახმარებით შეისწავლონ.

„თელესკოლას“ მრავალმხრივად განვითარების რესურსი გააჩნია. მას აქვს შესაძლებლობა, გახდეს ერთგვარი პლატფორმა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის, დააკმაყოფილოს ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი და დაეხმაროს მათ ახალი იდეების გენერირებასა და განხორციელებაში.

- მესამე კვარტალში გრძელდება მუშაობა რადიოს ბადეზე, მისი მაქსიმალური მიახლოება რადიო აუდიტორიის მოთხოვნებთან. შეიცვალა რამდენიმე გადაცემის ქრონომეტრაჟი, ფორმატი და ეთერში გასვლის პლატფორმა. გადაცემებში - „პიკის საათი“ „სახლისკენ“ „კლასიკა ყველასთვის“ და „ისტორიის პოპ გაკვეთილები“ განხორციელდა გარკვეული ცვლილებები.
- მსოფლიო რადიო ბაზარზე ტენდენციების და EBU-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს რადიომ პოდკასტინგი პრიორიტეტად დაისახა. სექტემბერში, ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) აკადემიის მხარდაჭერით, საქართველოს პირველი არხის რადიო და ონლაინმედის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის პროგრამა მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა პოდკასტის ფორმატები, სტრუქტურა, განსხვავება რადიოგადაცემასა და პოდკასტს შორის, რადიოგადაცემის გარდაქმნა პოდკასტად. ტრენინგი დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა და მას უძღვებოდნენ ტრენერები ჯასტინ ქინგსი - საერთაშორისო მედია კონსულტანტი და ტრენერი და მაიქლ ქერლინგი - აუდიო/ ვიდეო პროდიუსერი.
- EBU-ს ტრენინგის ფარგლებში მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, ავტორების ჯგუფმა დაიწყო მუშაობა პოდკასტების შექმნაზე. აღსანიშნავია, რომ პოდკასტი მზარდი პოპულარობით სარგებლობს ევროპასა და ამერიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა აუდიტორია უპირატესობას სწორედ პოდკასტინგს ანიჭებს. საქართველოს რადიოს მიერ მომზადებული პოდკასტები სწორედ ამ აუდიტორიის მოზიდვას და დაინტერესებას ისახავს მიზნად.
- რადიოთეატრი მონაწილეობას იღებს Prix Europa რადიო სპექტაკლების ფესტივალში.

ონლაინ ხელის - 1TV.GE

საქართველოს პირველი არხის ონლაინმედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობას. შვიდენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების წარმოება.

მომხმარებელი კვლავ აქტიურად იყენებს ახალი ამბებისა და რადიოს მობილურ აპლიკაციებს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

დასრულდა ვებპროექტ „ანტიფეიკის“ ტექნიკური სამუშაოები. ფეისბუქზე შეიქმნა პროექტის გვერდი, სადაც „ანტიფეიკის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიები ზიარდება.

დასრულდა ვებგვერდ 1tv.ge-ის ახალი LIVE ფლეიერის ტექნიკური სამუშაოები.

მიმდინარეობს ვებპროექტ „360 საქართველოს“ ტექნიკური სამუშაოები.

მიმდინარეობს აპლიკაცია Mobile TV-ის ტექნიკური სამუშაოები.



ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა
დინამიკურად ზრდადი იყო ყველა
კვლევითი პერიოდში:

საიტის **1TV.GE** სტატისტიკა

III კვარტალი 2020	II კვარტალი 2020
ვიზიტი საიტზე - 9 488 944	ვიზიტი საიტზე - 16 500 903
უნიკალური მომხმარებელი (საუბლოდ დღეში) - 83 121	უნიკალური მომხმარებელი (საუბლოდ დღეში) - 13 722
საუბლოდ დღეში ვიზიტი: 103 141	საუბლოდ დღეში ვიზიტი: 181 338
მაქსიმალური მარჯვენაბელი 255 000 (15/08/2020)	მაქსიმალური მარჯვენაბელი 595 405 (01/04/2020)



სტატისტიკა


II კვარტალი 2020	I კვარტალი 2020
ნახვა - 29 500 000	ნახვა - 38 200 000
საუბლოდ დღეში ნახვა - 320 652	საუბლოდ დღეში ნახვა - 420 800
მაქსიმალური მარჯვენაბელი - 529 000 (26 ივლისი 2020)	მაქსიმალური მარჯვენაბელი - 632 000 (22 ივნისი 2020)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.


ფაისბუქ-გვერდი - პირველი არხი

ვიდეოების საერთო ნახვა - 21,6 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები დაკლებულია 39.8%-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 427,700 - წინა სამ თვესთან შედარებით შემცირებულია 53,8%-ით



გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 347,196- გაზრდილია 3.6%-ით



პროექტი „ჩვენი ქართული ენა“



ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეებში პროექტის “ჩვენი ქართული ენა” ფარგლებში გაგრძელდა ფეისბუქ ვიქტორინა და ჩატარდა 4 გათამაშება.

ასევე პროექტის ფარგლებში, არაქართულენოვანის კოლების მე-7 და მე-8 კლასელებს შორის, ქართული ენის ონლაინ ოლიმპიადისთვის დაიწყო ტესტების მომზადების პროცესი.

ზოგადი მონიტორინგის პროგრამა

მიმდინარეობს მონიტორინგი საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მესამე კვარტალში მიმდინარეობს:

- მაუწყებლის ყველა პლატფორმის უწყვეტი მონიტორინგი;
- პროგრამის ტექნიკური დახვეწის პროცესი;
- მონიტორების კოორდინაცია;
- ახალ სერვერზე გადასვლის პროცესი;
- მონიტორინგის პროგრამის განვითარება, სუბიექტების დამატება; მონიტორებთან სამუშაო შეხვედრები, სუბიექტების მონიტორინგის ინსტრუქციის შემუშავება;
- მზადება წინასაარჩევნო მონიტორინგისთვის: შემუშავდა მონიტორინგის მეთოდოლოგია, მოხდა მონიტორინგის პროგრამის განვითარება წინასაარჩევნო მონიტორინგის მიმართულებით;
- მონიტორებთან სამუშაო შეხვედრები, წინასაარჩევნო მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით ინსტრუქციების შემუშავება;
- ყველა პლატფორმის მონიტორინგის წლიური ანგარიშის მომზადება და გამოქვეყნება;
- წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშების მომზადება;
- „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში 1-14 სექტემბრის ჩათვლით;
- „მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჟრილში (1-30 სექტემბერი);
- „საქართველოს რადიოს“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჟრილში (1-30 სექტემბერი).

რატარდის და რატარდის კვლევა

დაიგემა მოსახლეობის სატელევიზიო პრეფერენციების, მოთხოვნის და საჭიროებების განსხვავებული მეთოდებით შესწავლა. განისაზღვრა სტრატეგია და რამოყალიბდა ტექნიკური დავალება სატელევიზიო წინადადებისთვის. ტელევიზიო რატარდა აგვისტოში. გამარჯვებულია კომპანია „სონარი“. 2021 წლის დეკემბრის რატარდით იგეგმება შემდეგი კვლევები:

- სატელევიზიო ბაზრის კვლევა;
- ტელევიზიო რატარდის კვლევა;
- ინტერნეტ-რატარდის კვლევა;
- რადიო-რატარდის კვლევა;
- რატარდის სეგმენტაცია;
- საინტერნეტო კვლევა.

რატარდა რადიო რატარდის კვლევა ფოკუს ჯგუფების მეთოდით. კვლევაში მონაწილეობდა 48 რესპონდენტი, სულ 6 ჯგუფი. კვლევის მიზანი:

- 1 ქართული რადიო სივრცის კვლევა;
- 2 სამომხმარებლო ქცევის სპეციფიკა და რადიო;
- 3 პირველი არხის რადიოსადმი მომხმარებელთა განწყობების კვლევა;

მიმდინარეობს მზადება სატელევიზიო გამოკითხვის, რატარდის კვლევის რატარდის კვლევის მიზანი:

- 1 პირველი არხის პოზიციონირება
- 2 გადაცემების რეიტინგი
- 3 რატარდის ქცევის განსაზღვრა
- 4 ტელევიზიოსადმი მაყურებლის ნდობა
- 5 ყურებადობა დროითი შუალედების მიხედვით

| არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი განაგრძობდა ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გაშიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანა - ანოტირებას და ერთიან ელექტრონულ საძიებო ბაზაში შეტანას. ასევე, მიმდინარე მასალის დაარქივებას.

ინვენტარიზაციის პროცესის დასრულებამდე, დროებით კვლავ შეზღუდულია არქივიდან მასალის გარე მომხმარებელზე გასხვისება (ა.წ. დეკემბრის ჩათვლით), გარდა შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

ვიზუალური ფონდი

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზებულია სულ 339 ჩანაწერი. 21 სთ-ზე მეტი მასალა (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეო მატარებლებიდან და კინოფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი სატელევიზიო პროგრამები და ფილმები).

ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე დაარქივდა, გადაიწერა შიდა მომსახურებისათვის და გაიწმინდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი გადაცემები - 79 ერთეული, 101:23 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიზუალური მასალა.

კინოფონდში -16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ მატარებელზე (DVCAM) გადატანილია სხვადასხვა რედაქციების 4 ერთეული, 8 ნაწილი (უხმო) 1:20 სთ. მასალა; დამუშავებულია 21 დასახელების 40 კოლოფი კინომასალა.

ფოტო ფონდში დამუშავებული, დასკანერებული და საცავში დაბრუნებულია 101 თემის 445 ფოტოანაბეჭდი.

არქივის ვიდეო და კინო-ფოტო ფონდების ბაზაზე დამზადებულია “ტელემუზეუმი” - 72 საეთერო გადაცემა.

აუდიოფონდი

გაიციფრა 121 ფირი, ჯამში 55:49:39 საათი, რაც 42,55 GB მასალას უდრის.

ვებ პროექტისთვის „რადიომუზეუმი“ მომზადდა 2,84 GB მასალა.

ფოტოგაზაფი

მაუწყებლის ვებ-გვერდისთვის დამუშავებული და შესწავლილია ფოტოარქივის 87 თემატური საქალაქი, შერჩეული და დასკანერებულია 435 ფოტოანაბეჭდი.

**იურიდიული საბსაზუროს
2020 წლის III კვარტლის
შედეგები**

ხელშეკრულებების შესახებ

2020 წლის მე-3 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 290 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

სასამართლო და საელსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	ფ/ვ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს” დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.</p> <p>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” საკასაციო საჩივარი</p>
2	ფ/ვ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- ამ ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობას</p>

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
3	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
4	ფ/ვ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
5	ფ/ვ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
6	ფ/ვ გზია ზაუთაშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუთაშვილსა და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე. - გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში - სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხარეთა საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი. დავა დასრულებულია
7	გვს "სტუდია ფონოგრაფი"	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
8	ალექსანდრა ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
9	ალექსანდრა ჟღენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
10	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით).</p> <p>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საია-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით</p>
11	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
12	ალექსანდრა ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;</p> <p>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;</p> <p>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.</p> <p>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
13	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ სამუშაოდან გათავისუფლების და კომპენსაციის დაკისრების ნაწილში.</p> <p>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება ამ ნაწილში გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p>
14	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	<p>_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.</p> <p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p>
15	ანა თურაბალიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
17	მარიამ ბოლქვაძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18	შპს "ბროდვასტ სოლუშინ"	დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სატენდერო ოქმის ბათილად ცნობა, ტენდერში გამარჯვებულად აღიარება და შესაბამისი ქმედებების დავალევა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
19	შპს "მკს"	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
20	გიორგი სუნიტაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
21	1. ალექსანდრა მეთრეველი 2. გიორგი ბანძავა 3. დავით სიმონიშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება გასაჩივრებელია სააპელაციო სასამართლოში. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა (გიორგი ბანძავას ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე). - საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.
21	ნუგზარ ჩხაიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. - გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.

№	მოსარჩელა	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
23	<p>1. ქეთიწო დაკანოზიშვილი</p> <p>2. ნათია ზენგელია</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>_ ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ქ. დეკანოზიშვილის სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილია საკასაციო საჩივარი.</p>
24	<p>ლევან გულბანი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელის მიმართ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ლ. გულბანის სარჩელი, რაც გასაჩივრებულია საკასაციო წესით</p>
25	<p>1. შალვა სამხარაძე</p> <p>2. გიორგი ხაჩიძე</p> <p>3. ზურაბ ჯაჭოშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ გიორგი ხაჩიძესთან დავა დასრულდა მორიგებით.</p> <p>- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ზ. ჯაჭოშვილთან და შ. სამხარაძესთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელები, მოსარჩელებს უარი ეთქვათ სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზ. მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p>
26	<p>ლევან ლაკვიშვილი</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ლ. ლეკვიშვილთან მიმართებით ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.</p>

2.2 სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლო-ებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	შპს “Georgian Water & Company“	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ძირითადი დავალიანების დაკისრების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად და მოპასუხეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხეს დაეკისრა ასევე პირგასამტეხლო, მხოლოდ შემცირებული განაკვეთით. კერძოდ, ა) 76,50 აშშ დოლარი; ბ) 26.11.2014წ.-დან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე 5000 აშშ დოლარის 0,01%-ის გადახდა ყოველ გადაცილებულ დღეზე.</p> <p>- მოპასუხემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.</p> <p>_ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა განჩინება, რითაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დაუშვებლად.</p> <p>- დავა დასრულებულია და კომპანიის მიმართა დაწყებულია სააღსრულებო წარმოება.</p>
